

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის
რეგონებსა და აჭარის ა/რ-ში აფხაზეთის ა/რ მთავრობის
წარმომადგენლობა

2014 წელს გაწეული მუშაობის წლიური
ანგარიში

თავი I. აქტივობები

საანგარიშო პერიოდში იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობამ:

- სამოქმედო რეგიონში განთავსებული დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და ყოფითი მდგომარეობის შესწავლის მიზნით წლის დასაწყისში მოაწყო გასვლითი შეხვედრები სამოქმედო რეგიონების მუნიციპალიტეტებში განთავსებულ დევნილ მოსახლეობასთან. შედგენილ იქნა გასვლების განრიგი (იხ. დანართი 2). პროცესი მოიცავდა პერიოდს 2014 წლის 20 იანვრიდან 2014 წლის 20 თებერვლამდე და დევნილი მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების შესწავლასთან ერთად მიზნად ისახავდა მათი ინფორმირებულობის გაზრდას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შემუშავებული 2014 წლის ბიუჯეტებით გათვალისწინებული სოციალური პროგრამებისა და პროექტების შესახებ. კერძოდ კომპეტენციის ფარგლებში, მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაციები და მიეცა განმარტებები იგპ-თა საცხოვრებელი ფართებით გრძელვადიანი უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობის შესახებ (ბინის მაძიებელთა სააპლიკაციო ფორმების შევსების წესები, აპლიკაციების შეფასების კრიტერიუმები და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები), ცვლილებებზე დევნილთა შესახებ საქართველოს კანონში (სახელმწიფო შემწეობის გაზრდა, მოხმარებული ელ. ენერჯის აღრიცხვისა და გადახდის პირობები და სხვა) და საქართველოს სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ საქართველოს კანონში, მცირემიწიან ფერმერთა დახმარების სახელმწიფო პროგრამის, სამუშაოს მაძიებელთა სპეციალურ საიტზე (Worknet.gov.ge) აღრიცხვის წესებზე, ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამებზე („C“ ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაში ჩართვა, საყოველთაო დაზღვევის პროგრამებში ჩართვა და სხვა), აფხაზეთის ა.რ. ჯანდაცვის პროგრამებზე, სოციალურად დაუცველთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამაზე, განათლების სამინისტროს პროგრამაზე და სხვა.
- დევნილთა სამსახურის ხელმძღვანელისა და თანამშრომლების მიერ სამოქმედო რეგიონში განთავსებულ დევნილებს მიეცათ კონსულტაციები (უშუალოდ ოფისში, ჩასახლებების ობიექტებში გასვლების დროს და სატელეფონო) და სათანადო დახმარება გაეწია ისეთ საკითხებზე, როგორცაა პირადი საბუთების აღდგენა-მოწესრიგება (დევნილთა ხელახალი სავალდებულო რეგისტრაციასთან დაკავშირებით შეჩერებული და შეწყვეტილი სტატუსების გააქტიურების წესების, პიროვნების იდენტიფიკაციისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის,

ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის მოქმედებაზე (2014 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად - აღიარება და გაყალბებული დოკუმენტაციების გასწორება), სამუშაო სტაჟის აღდგენის, სოციალური საკითხებზე (ე.წ. "სიღარიბის" პროგრამაში მონაწილეობა და მინიჭებული ქულების გასაჩივრების პროცედურები, პოლისის მიღება-სარგებლობა და მასთან დაკავშირებული საგარანტიო წერილები), ცნობების მუდმივი და დროებითი საცხოვრებელი ადგილიდან, ომის ვეტერანის სტატუსის მინიჭება და მასთან დაკავშირებული გარანტიები და შეღავათები, 500 ლარიანი კომპენსაციების მიღება, ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიღების წესი, საპენსიო საქმეები (ასაკობრივი პენსია და დანამატი, სამხედრო კომპენსაცია, შეჩერებული პენსიის პრობლემების მოგვარება, საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ დევნილთათვის შეჩერებული შემწეობისა და პენსიების მიღების დარეგულირება და სხვ.), საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს საელჩოებში სამშობლოში უკან დასაბრუნებელი მოწმობების მიღებისათვის წარმომადგენლობის შესაბამისი კომისიის დასკვნების მიღება.

- პირველ, მეორე და მესამე კვარტალში მცირე და ფერმერული მეურნეობების გამართვისათვის, კოოპერატივებისა და ს/ს კოოპერატივებისთვის ჩამოყალიბებისათვის, გრანტებისა და სხვადასხვა სახის შეღავათიანი სესხის მისაღებად იმერეთის რიგ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, სამტრედია, ზესტაფონი, თერჯოლა, ტყიბული, საჩხერე, ჭიათურა, ბაღდათი, ვანი) მცხოვრებ დევნილებს (დაახლოებით 50-მდე დევნილი ოჯახი, რომლებიც ეწევიან ან აპირებენ ზემოთ აღნიშნულ საქმიანობებს) გაეწიათ სათანადო კონსულტაციები, მიეწოდათ შესაბამისი წერილობითი დამხმარე მასალები და ინფორმაციები (კანონები მეწარმეობისა და ს/ს კოოპერატივებზე, საგადასახადო შეღავათებზე, ჩამოსაყალიბებლად აუცილებელ პროცედურებზე). ამ საკითხებზე საერთოდ სოციალური ქსელების საშუალებითაც აქტიურად მიეწოდებოდათ ინფორმაციები. კოოპერატივის (შემდგომ ს/ს სამეურნეო კოოპერატივად გარდასაქმნელად და სტატუსის მისაღებად) ჩამოყალიბების პროცესში არიან კოპიტნარის დასახლებაში მცხოვრებ დევნილთა 5-6 კაციანი ჯგუფი.
- სოციალური ქსელის (ფეისბუკი), ელფოსტის, სკაიპისა და სატელეფონო საუბრების საშუალებით 35-მდე დევნილ სტუდენტს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოსა (მინისტრის ბრძანება 942, 22,08,2014 წ) აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სწავლის ქირის დასაფარად საგრანტო კონკურსის შესახებ. ადგილზე მომართა 6-მა სტუდენტმა. დაეხმარა მათ დოკუმენტაციების მომზადებასა და ელექტრონული და სკანირებული ფორმით სამინისტროში დროულად გადაგზავნაში.
- წარმომადგენლობა რეგიონში მცხოვრებ დევნილთა თხოვნა-მომართვების საფუძველზე ამზადებდა აფხაზეთის ომის დროს გენოციდის მსხვერპლთა ოჯახების წევრთა განცხადებებს და ელექტრონულად აგზავნიდა ჯერ აფხაზეთის ა/რ დევნილთა უფლების დაცვის სამსახურში, შემდეგ აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტში. დეპარტამენტიდან ელექტრონულად ღებულობდა ცნობებს და

გადასცემდა დევნილებს. ცნობების საფუძველზე ამ ოჯახებს ემატებათ 1 ქულა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ საცხოვრებელი ფართის მისაღებად ანკეტირებისას. 9 თვეში გაიგზავნა 25 განცხადება და მიღებულ იქნა 16 ცნობა.

- მეორე კვარტლის პირველ ნახევარში ჩატარდა ობიექტებში არსებული პრობლემების შესწავლის სამუშაოები და შედგა მისი ელექტრონული ვარიანტი. სულ შესწავლილ იქნა 166 ობიექტი, რომლებზეც შედგა 241. ამასთან მიმდინარეობს ობიექტების დატანა Google Earth-ში, დატანილია 20-მდე ობიექტი.
- რეგიონებში გასვლებისას ხდებოდა შეხვედრების ორგანიზება თვითმმართველობებში, კერძოდ სოციალურ სამსახურებთან თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა დევნილთა სოციალურ გარანტიებსა და შეღავათების შესახებ.
- ყოველი თვის ბოლოს კომპაქტურ ჩასახლებებში არსებულ მდგომარეობაზე და სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ინფორმაცია სამსახურის უფროსის კურატოლობით მიეწოდებოდა რეგიონული მართვის სამინისტროს.
- მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ხდებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში მონაწილე მეომრების განცხადებების მიღება და მათთვის ვეტერანთა სტატუსის მინიჭების საკითხებზე მუშაობა. განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს აფხაზეთის ომის მონაწილეთა საქმეების წარმოება, რადგან ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში გამკაცრებული ინსტრუქციები ხშირად ხელოვნურ ბარიერს უქმნის განმცხადებლებს. მიმდინარე პერიოდში, 100 მოქალაქეს სათითაოდ გაუმზადდა განცხადებები თანდართული საბუთებით თავდაცვის სამინისტროში წარსადგენად.
- წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობდა რეგიონში მოქმედ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთა ძირითადი საქმიანობაა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის განხორციელება (სოციალური მომსახურების მიწოდება, საქველმოქმედო საქმიანობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, ასევე, ეთნიკურ უმცირესობებზე ზრუნვა). აქტიურად არის ჩართული და მონაწილეობას ღებულობს სემინარებსა და ფორუმებში. მესამე სექტორის ორგანიზაციებში პერიოდულად ეწყობა საქმიანი შეხვედრები ისეთ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორცაა:

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი

თანამშრომლობის ძირითადი მიმართულება - სოციალური სექტორის კანონმდებლობა, დევნილთა უფასო სამართლებრივი კონსულტაციებისა და ადვოკატირების საკითხები (იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის კუთხით - დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება, დევნილის სტატუსის მინიჭება, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის სამართლებრივი საფუძვლები და სხვ);

მარტში საიას ქუთაისი ფილიალში მოეწყო მრგვალი მაგიდა "დევნილთა პრობლემების გადაჭრის ინოვაციური გზების ძიება", სადაც აქტიურ მონაწილეობას დებულობდნენ როგორც დევნილი, ასევე ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები და არასამთავრობო სექტორი.

საიამ განახორციელა გასვლითი საკონსულტაციო შეხვედრები დევნილებთან ხონის, სამტრედიისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების 8 დიდ ობიექტში.

1. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი

საქმიანობის დაწყებისათვის ბიზნეს კონსულტაციები მიიღო 26-მა დევნილმა დამწყებმა მეწარმემ.

ა/ო მომავლის განვითარების სახლი (ქუთაისი)

თანამშრომლობის ძირითადი მიმართულება - დევნილთა უფასო სამართლებრივი კონსულტაციები და მომსახურება (იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის კუთხით (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება და სხვ.).

სამსახურის წამყვანი სპეციალისტები ლაშა გადელია და ნუგეშა მიქელაძე თანამშრომლობენ აჭარის ა/რ-ში ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძოდ:

- ❖ ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო (NRC- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ჩამოყალიბების პროცესში დევნილთა იურიდიული კონსულტაცია და დახმარება.

ა/ო პედაგოგთა კავშირი განათლება და სამყარო -ქუთაისი

1.პროექტი „ქართული და აფხაზი მოსწავლე ახალგაზრდების სამშვიდობო განათლება ნდობის აღდგენისათვის“- ფინანსური მხარდამჭერი: ევროკავშირი,გაეროს განვითარების პროგრამა და კობერმი. რაც ითვალისწინებს ქართული მხრიდან 10 (ქუთაისი, სენაკი და ზუგდიდის) და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიაზე 6 სკოლის 216 (108-108) მოსწავლისათვის საგანმანათლებლო აქტივობებს. აფხაზური ენის სწავლების ორ ცენტრში სწავლობს 40 მოზარდი. ზაფხულში ორგანიზებული იქნება ბანაკი 24 ბავშვზე. ბანაკის შემდეგ ორივე მხარის პედაგოგები გამოუშვებენ წიგნს "განათლება მშვიდობისათვის".

მიზანი: საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარების ხელსეწყობა სამშვიდობო განათლების სატრენინგო პროგრამის მეშვეობით. დასაქმებულები: 6 პროექტის ადმინისტრაცია,19 პედაგოგი.

1. დევნილთა პოლიტიკური გაძლიერება საქართველოში- ინგლისის საელჩო. დასაქმებულები-10.
2. წინასაარჩევნო შეხვედრები საარჩევნო სუბიექტებთან ქუთაისი, წყალტუბო, ზუგდიდი, სენაკი. დასაქმებული- 4

3. «Активная работа с ВПЛ и женскими группами по подготовке их к выборам. CR-შერიგების რესურსები--6 შეხვედრა ქალ კანდიდატებთან. დასაქმებული-4.
4. ინფორმირებული დევნილები ადვოკატირებენ თავიანთ უფლებებს. საჭიროებები. 6 არარეაბილიტირებულ დევნილთა კომპაქტურ ცენტრში პრობლემებისა და საჭიროებების მოკვლევა. დასაქმებული -9 პიროვნება.
5. პროექტი: „ქართული ფოლკლორი ეროვნული საგანძურია“ დასავლეთ საქართველოს ხუთი ქალაქის ბიბლიოთეკის ბაზაზე „ქართულ-ევროპული ფოლკლორის კლუბის“ შექმნა ახალგაზრდებში ქართული ეროვნული და ევროპული საგანძურის პოპულარიზაციის მიზნით.-ევროკავსირის დაფინანსებით. დასაქმდა-5 პიროვნება.

ფონდი სოხუმი და მეწარმე ქალთა ფონდი

ეს ორი ორგანიზაცია ახორციელებს პროექტებს, რომელიც ითვალისწინებს დევნილი ქალბატონების უფასოდ მომზადება-გადამზადებას ინგლისურსა და საოფისე საქმეში, ასევე კომპიუტერის სწავლებას; მეორე პროექტით გათვალისწინებულია დევნილთა პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. ამჟამად კვალიფიკაციას იმაღლებს 10-ზე მეტი დევნილი.

დევნილთა საკითხებზე მომუშავე ა/ო-თა ქსელი სინერგია

ამ ქსელის პროექტები ფარგლებში განხორციელებულ იქნა სხვადასხვა პროექტები, რომლებიც ეხებოდა დევნილთა ხელახალი სავალდებულო რეგისტრაციის წესის გაცნობას დევნილთათვის. სინერგიის ქსელის (საიას ქუთაისის ფილიალი და ფონდი აფხაზინტერკონტი) მოხერხდა 10 კომპაქტური ჩასახლებისათვის ე.წ "წითელი ზოლების" (შენობაზე დასამაგრებელი სავალდებულო მიწის ნაკვეთის განსაზღვრა, კერძოდ განსაზღვრა (მოძიებულ იქნა ინფორმაციები ტექნიკური აღრიცხვის არქივებში და დამუსავებულ იქნა საჯარო რეესტრის სამსახურებში წარსადგენად. 1 კომპაქტურ ცენტრზე (ქუთაისი, ყოფილი სამხედრო ლიცეუმის შენობა) გაკეთდა საინჟინრო ტექნიკური (აზომვითი) ნახაზი, შენობაზე აივნების მისაშენებლად.

6. ზესტაფონში საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი"-ს მიერ პროექტის "ამხანაგობების შექმნა და განვითარება" ფარგლებში (რომელსაც ცენტრი "აფხაზეთი" 2012 წლიდან ახორციელებს) 25 სექტემბერს ორმა ამხანაგობამ - „სოხუმი“ და „შუქურა“ საჩუქრად სამშენებლო ინსტრუმენტები მიიღო. ღონისძიებას NEO / USAID - ს, საქართველოს მთავრობისა და ცენტრი „აფხაზეთის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საჩუქრად მიღებული სამშენებლო იარაღებით ამხანაგობებს შეუძლიათ პერიოდულად შეამოწმონ და შეაკეთონ თავიანთი საცხოვრებელი. ასევე, მათ უფლება აქვთ სამშენებლო ინსტრუმენტები მიაქირაონ მოვლა-ექსპლოატაციის ჯგუფს და მიიღონ გარკვეული შემოსავალი ამხანაგობის ფონდში.
7. თერჯოლა, ყოფილი საავადმყოფოს შენობა რუსთაველის #69. 44 ოჯახი, 136 სული. კოლექტიურ ცენტრში მცხოვრებმა დევნილებმა 2014 წლის ზაფხულში

ამხანაგობა „საპოვნელა“ ჩამოყალიბეს. 23 სექტემბერს საქველმოქმედო ჰუმანიტარულმა ცენტრმა „აფხაზეთმა“ მათ საჩუქრად სამშენებლო ინსტრუმენტები გადასცა NEO/USAID ფინანსური მხარდაჭერით. ამხანაგობა „საპოვნელაში“ დევნილებს უკვე აქვთ ჩამოყალიბებული მოვლა-ექსპლოატაციის ჯგუფი, რომელმაც საერთო ქონების მოვლა-ექსპლოატაციის წესებზე და რეგულაციებზე პროფესიული განვითარების ტრენინგები გაიარა. ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან ამხანაგობაზე საჩუქრად გაცემული ინსტრუმენტებით პერიოდულად შეამოწმონ საცხოვრებლის მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში შეაკეთონ კიდეც. ამას გარდა, ამხანაგობას შეუძლია მოვლა-ექსპლოატაციის ჯგუფის წევრებს მიაქირაოს სამშენებლო ინსტრუმენტები პირადი საჭიროებებისათვის. შედეგად კი ორივე მხარე თავის სარგებელს ნახავს - ამხანაგობა საკუთარ ფონდში მიიღებს შემოსავალს, ხოლო მოვლა-ექსპლოატაციის ჯგუფის წევრები გაწეული მომსახურებისათვის ანაზღაურებას მიიღებენ.

ტრადიციულ ყოველთვიურ საკოორდინაციო შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან (თვის ბოლო სამუშაო დღეს) ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალსა და სამართლიანი არჩევნების ქუთაისის ოფისში. მონაწილე თითოეული არასამთავრობო ორგანიზაცია მოკლე პრეზენტაციას აკეთებს მიმდინარე და მოსალოდნელი პროექტების შესახებ. შეხვედრებზე ასევე ისახება ერთობლივი ღონისძიებები, რომელიც მიმართულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის (მათ შორის დევნილების) პრობლემების მოსაგვარებლად. მიღებული ინფორმაცია მომდევნო თვეების დასაწყისში მიეწოდებათ დევნილთა ჩასახლებებს, მათ საბინაო ამხანაგობებსა და ლოკალურ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

- წარმომადგენლობის აპარატი წარმომადგენლობის დებულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებათა შესაბამისად აგრძელებდა მუშაობას. კერძოდ, ახდენდა წარმომადგენლობისა და მისი დანაყოფების საინფორმაციო და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, აწარმოებდა ოფიციალურ კორესპონდენციათა რეგისტრაციას, შესაბამის დანაყოფებში მათ გადაგზავნას და კანონით დადგენილ ვადებში წერილობითი პასუხის გაცემას, ბრძანებების პროექტების შედგენას, შესაბამისი ოქმების წარმოებასა და მათ შენახვას.
- საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობამ განიხილა ერთჯერადი მატერიალური დახმარების მაძიებელ ბენეფიციართა 775 განცხადება. აქედან, დაკმაყოფილდა 694 განცხადება (გაიცა დახმარება თითოეულზე 100 ლარის ოდენობით, 69 400 ლარი), 57 განმცხადებელს სხვადასხვა მიზეზის გამო ეთქვა უარი დახმარების გაწევაზე, 8 განცხადება ზოგადადმინისტრაციული კოდექსის 80-ე მუხლის საფუძველზე გადაიგზავნა აფხაზეთის ა/რ მთავრობის აღმოსავლეთ საქართველოსა და სამეგრელოს რეგიონში წარმომადგენლობებში, 16 მოქალაქეს წარმომადგენლობის მიერ გაეწია შუამდგომლობა ქუთაისისა და წყალტუბოს სოციალური სამსახურებისა და ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წინაშე განცხადებაში მოთხოვნილი მედიკამენტების

შესაძენად დაფინანსების გაწევის შესახებ ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხიდან; წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან (სულ 75000 ლარი) აუთვისებელი დარჩა 5600 ლარი. (ერთჯერადი მატერიალური დახმარების განაწილების მაჩვენებლები იხ. დანართში 3ა,ბ,გ,დ,ე)

- წარმომადგენლობის აპარატში შემოვიდა 340 წერილი, აქედან:
 - აფხაზეთის ა/რ რეგიონული მართვის სამინისტროდან - 62, მათ შორის 16 თანხმობა წარმომადგენლობის ხელმძღვანელი პირის მივლინებებზე;
 - აფხაზეთის ა/რ მთავრობიდან 56. მათ შორის 16- ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამოყოფის შესახებ;
 - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სამინისტროდან - 81, რომელშიც ითხოვდნენ იმ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადასტურებას, რომლებსაც სამინისტრომ შეუჩერა დევნილის სტატუსი;
 - არასამთავრობო ორგანიზაციებიდან- 9;
 - სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან- 60 ;
 - შპს - 1
 - სხვადასხვა -71
- გასული კორესპონდენციის სტატისტიკა კი ასეთია სულ 284, აქედან:
 - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში 3 ;
 - აფხაზეთის ა/რ მთავრობაში 21;
 - აფხაზეთის ა/რ რეგიონული მართვის სამინისტროში- 41, აქედან 16- შეთანხმება მივლინებასთან დაკავშირებით;
 - აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროში- 21 ;
 - საქართველოს ლტოლვილთა სამინისტროში - 31,
 - შუამდგომლობა დევნილთა მკურნალობისათვის თანხის ჩარიცხვასთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის წინაშე- 24;
 - სრს აფხაზეთის სამსახურში - 41;
 - სხვადასხვა უწყებებში -84 ;
 - არასამთავრობო ორგანიზაციებში 17;
 - შპს -1
- რაც შეეხება მოქალაქეთა მომართვიანობას საანგარიშო პერიოდში სულ დარეგისტრირდა 289 განცხადება, აქედან:
 - მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ 284,
 - ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამოყოფასთან დაკავშირებით შუამდგომლობაზე -44,
 - ინვალიდის ეტლის მიღებასთან დაკავშირებით -1,
 - დასაქმებაზე - 2,(აქედან დაკმაყოფილდა 1, რამინ კიზირია)
 - სამხედრო მოწმობის მიღებასთან დაკავშირებით- 40;
 - ოჯახის შემადგენლობაზე -3;

- ალტერნატიულ სამხედრო სამსახურზე - 4;
- სხვადასხვა- 11.
- გაიცა სხვადასხვა სახის 453 ცნობა, აქედან:
 - საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში 355,
 - სოციალური სუბსიდიების სააგენტოში- 4,
 - სრს აფხაზეთის სამსახურში წარსადგენად -69,
 - სხვადასხვა-25.
- წარმომადგენლობის აფხაზეთის ა/რ-ის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევილიის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და როგორც აფხაზეთის ა/რ-ის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მიერ მიღებულ იქნა 178 განცხადება, აქედან დადებითი დასკვნა გაიცა - 158, უარი ეთქვა - 10-ს, ადმინისტრაციულ წარმოებაშია- 9. 1 საქმეზე შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე). სასამართლოში წარსადგენად მომზადდა საჩივარზე შესაგებელი როგორც საქალაქო, ისე საპელაციო სასამართლოში მოქალაქეების (ერეხოვა, ლომთაძე და სანაია) ადმინისტრაციულ საჩივრებზე, სადაც ითხოვდნენ წარმომადგენლობის აფხაზეთის ა/რ-ის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევილიის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და როგორც აფხაზეთის ა/რ-ის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის გადაწყვეტილებების გაუქმებას.
- 10-11 სექტემბერს იმერეთში იმყოფებოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის (ხელმძღვანელი- ირაკლი დიხამინჯია) თანამშრომელთა ჯგუფი, რომელმაც შეისწავლა ქ. წყალტუბოს, სამტრედიასა და კოპიტნარში იგპ-თა კომპაქტური განსახლების პრობლემური ობიექტების საჭიროებები ზამთრის პერიოდისათვის. აღნიშნულ სამუშაოებს წინ უსწრებდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოსა და წარმომადგენლობის ხელმძღვანელების კონსულტაციები, რომელზეც წინასწარ იქნა შერჩეული პრობლემური ობიექტები. მასთან პროცესში აქტიურად იყო ჩართული რეგიონალური მართვის საკითხებში აფხაზეთის ა.რ. მინისტრი (ვ. კუჭუხიძე) და აფხაზეთის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი (ვ. ყოლბაია). ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაცია და მასალები გადაეცა მინისტრს სათანადო

გადაწვეტილებების მისაღებად. რაც გულისხმობს საპროექტო-საამშენებლო ორგანიზაციების შერჩევას, საპროექტო სამუშაოების შესრულებასა და აღდგენითი სამუშაოების შესრულებას.

ერთობლივი წინასწარი კონსულტაციებითა და არსებული ინფორმაციების საფუძველზე წყალტუბოში შეირჩა 5 ობიექტი: 1. შპს. „ინტურისტი“, 2. სან. „სამგურალი“, 3. სან. „მეტალურგი“, 4. სან. „წყალტუბო“ და 5. ახალრეაბილიტირებული ყოფილი საავადმყოფოს შენობა. სამტრედიაში 1- საავადმყოფოს რეაბილიტირებული შენობა, და კოპიტნარის სამხედრო დასახლება.

- წარმომადგენლობის ხელმძღვანელი პირადად გაეცნო აჭარის რეგიონში სექტემბერის თვეში განვითარებული სტიქიის შედეგებს;
- წარმომადგენლობა აქტიურად იყო ჩართული აფხაზეთის დაცემის ტრაგიკული დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზებაში;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურში წვევამდელთა გაწვევის 2014 წლის გეგმა-დავცალეხა შესრულებულია გადაჭარბებით.

• თავი II. გამოვლენილი პრობლემები, მათი ანალიზი და რეაგირებები

2.1 გამოვლენილი პრობლემები

სამოქმედო რეგიონში განთავსებული დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და ყოფითი მდგომარეობის შესწავლის მიზნით წარმომადგენლობის მიერ საანგარიშო პერიოდის დასწყისში განხორციელებული გასვლების შედეგად გამოვლენილი იქნა შემდეგი პრობლემები:

- კომპაქტურ ცენტრებში განთავსებულმა დევნილმა მოსახლეობამ არერთგვაროვნად აღიქვა ცვლილებები მოხმარებული ელექტრო ენერჯის გადახდის შესახებ. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და არგუმენტად მოჰყავდათ მოუწესრიგებელი ელექტრო ქსელები, ენერჯის ალტერნატიული წყაროების არქონა, გამრიცხველიანებისა და მოხმარებული ელ.ენერჯის აღრიცხვის მოუწესრიგებლობა, საცხოვრებელი ფართებში მწყობრიდან გამოსული კარ-ფანჯრები, რაც ზრდის ფართის გათბობისათვის საჭირო ენერჯის რაოდენობასა და ხარჯებს, ასევე გადასახადებზე დაბალი ხელმისაწვდომობა და სხვა. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოსახლეობამ ხელი შეუშალა გამრიცხველიანების პროცესს. წარმომადგენლობისა და ლტოლვილთა და განსახლების იმერეთის ტერიტორიალური ორგანოს თანამშრომელთა და მათი ხელმძღვანელების ძალისხმევით მოხერხდა ზოგიერთ ცენტრებში განთავსებული მოსახლეობის დარწმუნება, რის შედეგადაც ამ ობიექტების გამრიცხველიანება დასრულდა.
- საყოფაცხოვრებო პრობლემების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ რეგიონში განთავსებული პრაქტიკულად ყველა ობიექტზე არსებობს კომუნალური სისტემების, სახურავების და სხვა უწესივრეობები. ზოგიერთ მათგანში კი შექმნილია გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები (ქუთაისში- ტურბაზა

„რიონი“, სასტუმრო „ხვამლი“, ე.წ. „ანკომი“, ყოფილი ატკ#11, წყალუბოს 16-ვე სანატორიუმი, ჭითურაში-ჯორბელას საერთო საცხოვრებელში, ტყიბულში-სოფ. ლელვაში არსებული პროფილაქტორიუმი და სხვა). ქობულეთში ოთხივე ორგანიზებულად ჩასახლების ობიექტებში (საწვიმარი მხრიდან) ხშირი ნალექის დროს კედლებში ატანს წვიმის წყალი, საჭიროა გარეთა ფასადზე თუნუქის ფურცლების აკვრა. ასევე ქ.ქობულეთში 9 აპრილის ქ.№109 ყოფილი მე7 სკოლის შენობის "ა" კორპუსში და რუსთაველის ქ.№137 ყოფილი "სასაზღვრო ჯარების შენობის" ე.გ "ჯოლობები" და საწვეთურები ,რომლებიც არის პლასტმასის კონტრუქციიდან დიდთოვლობის დროს დაზიანდა და ძლიერი ნალექის დროს ოთახებში ასხამს წვიმის წყალს,საჭიროა მთლიანად გამოცვლა და "ჟემტის " კონსტრუქციით ჩანაცვლება.

- რეაბილიტირებულ ობიექტების ნაწილში კომუნალურ პრობლემებთან ერთად აქტუალურია გადაცემული საცხოვრებელი ფართების დაკანონებისა და საცხოვრებელი კორპუსების საკადასტრო საზღვრების დადგენის საკითხი, ასევე ზოგიერთი მათგანი არ არის გაზიფიცირებული. ეს უკანასკნელი აქტუალურია ხონის სამხედრო დასახლებაში, წყალტუბოს ყოფილი საავადმყოფოს შენობაში, ბათუმში ხახულის #5 -ში მდებარე ყოფილი ტექნიკური სკოლის შენობაში, ლეონიძის ქ. #15-ში და სხვა.
- დევნილ მოსახლეობასთან შეხვედრებზე გამოკვეთილი სხვა სოციალური პრობლემებიდან წამყვანია ჯანმრთელობის დაცვის (მედიკამენტებსა და მაღალტექნოლოგიურ ინსტრუმენტალურ სამედიცინო გამოკვლევებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, სასწრაფო სამედიცინო მომსახურების საკითხები და სხვა), განათლების (უმადლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურის გადახდის, საბავშვო ბაღებში სათამაშოებისა და ინვენტარის საკითხები), ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე 500 ლარიანი სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის, დასაქმების, სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის, დევნილთა რეგისტრაციის, გადაცემული საცხოვრებელი ფართების სიმცირის და სხვა საკითხები.
- ქ. ქუთაისში აფხაზეთის განათლების სამინისტროს #5 საჯარო სკოლის გათბობის სისტემა გამოვიდა მწყობრიდან, კერძოდ: დაზიანდა მთავარი შემავალი მილი.

2.2 ანალიზი

სამოქმედო რეგიონში განთავსებული დევნილი მოსახლეობის წინაშე არსებულ პრობლემათა სპექტრი საკმაოდ ფართოა და შეზღუდული რესურსების პირობებში სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფოსათვის. აქტუალურია, როგორც გრძელვადიანი განსახლება, ასევე მათი სასიცოცხლო გარემოს გაუმჯობესება. ასეთ რთულ გლობალურ ფონზე ჩვენი შეხედულებით პრობლემები შეიძლება გავაერთიანოთ სამ ძირითად ჯგუფში:

1. საყოფაცხოვრებო ხასიათის პრობლემები

აქ წამყვანია ამორტიზირებული და მწყობრიდან გამოსული სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემები, ელექტრო გაყვანილობების ქსელი, დაზიანებული სახურავები, შენობების სარდაფების მდგომარეობა, მისასვლელი გზების მოუწყვრეგებლობა, არაგაზიფიცირებული ობიექტების გაზიფიცირების საკითხები და სხვა;

2. სამართლებრივ - იურიდიული და ინსტიტუციონალური ხასიათის პრობლემები

აქ წამყვანია საცხოვრებელი ბინების დაკანონების (ანუ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების გადაცემის), შენობების საკადასტრო საზღვრების დადგენის, შენობების ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბალანსზე აყვანის, საბინაო ამხანაგობების ჩამოყალიბების, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი, იგპ-თა განსახლების ამორტიზირებული ობიექტების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დაფინანსების სამართლებრივ-იურიდიული ბარიერების საკითხები და სხვა

3. სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემები

აქ პრიორიტეტულია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, დასქმებისა და განათლების საკითხები.

ანალიზმა და არსებულ პრობლემებზე რეაგირებისას წამოჭრილმა საკითხებმა ნათლად დაგვანახა, რომ საყოფაცხოვრებო ხასიათის პრობლემათა ჯგუფში ასახული საკითხების გადაწყვეტა ფინანსური პრობლემებთან ერთად მთლიანადაა დამოკიდებული სამართლებრივი ბარიერების დამლევასთან. განსაკუთრებით იმ ობიექტებისათვის, რომლებიც სახელმწიფო ან კერძო საკუთრებაშია. სწორედ ასეთ ობიექტებზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება შეუძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტების) ბიუჯეტებიდან. არასამთავრობო სექტორი თავის მხრივ ითხოვს გარანტიებს რომ ობიექტში განთავსებული დევნილი ოჯახები მინიმუმ ორი წელი მაინც დარჩებიან ობიექტებში. მფლობელები კი არ არიან მოტივირებულები დააფინანსონ სამუშაოები, რადგან ობიექტებს დაკარგული აქვთ პირვანდელი (კომერციული) ფუნქციები. ანალოგიური ბარიერების წინაშე დგანან ის ობიექტებიც, რომლებიც რეაბილიტირებულია ან ახლადაშენებული, მაგრამ არ არის დაკანონებული, ხოლო სამუშაოების შემსრულებელი ფირმების

ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადები ამოწურულია, ამდენად მათ აღარ გააჩნიათ ვალდებულება აღმოფხვრან ვადის გავლის შემდეგ დამდგარი უწყესივრობები.

სოციალურ ფონს კი განსაზღვრავს შემდეგი გარემოებები:

- ❖ დევნილი მოსახლეობის დიდი ნაწილი აღმოჩნდა არასათანადო ურბანულ გარემოში;
- ❖ დასაქმებისა და საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის პრობლემა.

ეს უკანასკნელი თავის მხრივ გამოწვეულია იგპ-თა საკუთარი რესურსების (ინტელექტუალური თუ მატერიალური) საზოგადოებრივ ბრუნვაში ჩართვის შეზღუდულობით. ასევე წარმოების ძირითად საშუალებებზე დაბალი ხელმისაწვდომობით.

2.3 რეაგირებები

სამოქმედო რეგიონში წარმომადგენლობის გასვლითი ღონისძიებების დროს გამოვლენილი პრობლემების შესწავლა-ანალიზის შედეგად, კომპეტენციისა და მის ხელთ არსებული ორგანიზაციული რესურსების გათვალისწინებით მოახერხდა რიგი საკითხების გადაწყვეტა. კერძოდ:

- ბათუმში დასრულდა ხახულის ქუჩაზე მდებარე ყოფილი ტექნიკური სკოლის შენობაში განთავსებული დევნილი ოჯახების გაზიფიცირების სამუშაოები. სამუშაოების დაპროექტებისა და დაფინანსების საკითხების გადაწყვეტაში მოსახლეობასთან ერთად აქტიურად იყო ჩართული წარმომადგენლობაც. საწყის ეტაპზე სოკარ-ჯორჯიას აჭარის სერვისცენტრის ხელმძღვანელობასთან ინტენსიური კონტაქტებით გადაწდა სამუშაოების დაფინანსება განვადებით. თუმცა მოგვიანებით დაქსელვის სამუშაოები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დააფინანსა, ხოლო ბინებში შეყვანის ხარჯები გაიღო მოსახლეობამ განვადებით.
- ანალოგიურად ითხოვს გაზიფიცირების საკითხის მოგვარებას ქ. ბათუმში, ლეონიძის ქუჩაზე მდებარე, ყოფილი მექანიკური ქარხნის დამხმარე შენობაში განთავსებული ოჯახები. საკითხის გადაწყვეტა სოკარ ჯორჯიასთან მოლაპარაკებებით უნდა განხორციელებულიყო განვადებით, თუმცა ტექნიკური სკოლის დაქსელვის ხარჯების ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაღებამ დღის წესრიგში დააყენა ამ კორპუსის დაქსელვისათვის საჭირო თანხების სამინისტროს მიერ გამოყოფის საკითხი. ამ მიზნით მოსახლეობამ მიმართა სამინისტროს განცხადებით, სოკარ ჯორჯიას მიერაც არის აღძრული შუამდგომლობა და სამინისტროდან არის დაპირება, რომ წლის ბოლოსთვის სამუშაოები

დაფინანსდებოდა, ამჟამად ჩატარდა მხოლოდ წინასწარი აზომვითი სამუშაოები.

- გადაწყდა დაბა ჩაქვიში მდებარე ყოფილი საშუალო სკოლის შენობის გაზით მომარაგების საკითხიც. აქ პრობლემას წარმოადგენდა გაზიფიცირების სამუშაოებისას დაშვებული ხარვეზები, რის გამოც სოკარ-ჯორჯია უარს ამბობდა გაზის მიწოდებაზე და სისტემის ექსპლუატაციაში გაშვებაზე. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, რომელშიც მონაწილეობდა წარმომადგენლობაც მოხერხდა ხარვეზების აღმოფხვრა და ამჟამად ობიექტს გაზი მიეწოდება შეუფერხებლად.
- აჭარის რეგიონში დაიწყო რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსების დაკანონების პროცესი. ქობულეთში ამჟამად ყოფილ #7 სკოლის 3 კორპუსში 49 ბინიდან დაკანონდა 39 ბინა, 2 ოჯახმა უარი განაცხადა ფართის დაკანონებაზე სხვადასხვა მიზეზების გამო. ერთი ოჯახის სრულწლოვანი წევრი საზღვარგარეთ იმყოფებოდა და არც მინდობილობა ჰქონდა, ამ მიზეზით ამ ეტაპზე უარი ეთქვა. ხოლო 6 დევნილთა ოჯახის საკითხი არსებული ინფორმაციით გადაწყდება ინდივიდუალურად. ანალოგიური მიდგომაა ყოფილი სანეკიდ სადგურში მცხოვრებ დევნილებთან მიმართებაში. 30 ბინიდან ამ ეტაპზე დაკანონებულია 22 ბინა, ხოლო 4 ოჯახის საკითხი გადაწყდება ინდივიდუალური მიდგომით. ქობულეთის მუნიციპალიტეტის 4 კომპაქტურად ჩასახლებული ობიექტებიდან ზემოთ აღნიშნული მხოლოდ ორი ობიექტი მოხდა დაკანონების ნუსხაში. ამ ეტაპზე ვერ მოხვდნენ ქ.ქობულეთი რუსთაველის ქ.#137 "ყოფილი სასაზღვრო ჯარების შენობა" და დაბა ჩაქვი "ყოფილი სკოლის შენობა". როგორც ირკვევა აღნიშნული ობიექტების დაკანონება მოხდება ეტაპობრივად. ანალოგიური მიდგომარეობაა ბათუმის მუნიციპალიტეტშიც.
- სტიქიით გამოწვეული შედეგების შესწავლისას არ გამოვლენილა რაიმე სახის მძიმე დაზიანებები. ბათუმში დაიტბორა დევნილთა რამოდენიმე საცხოვრებელი კორპუსის სარდაფი და ეზო. წარმომადგენლობის ხელმძღვანელისა და ქალაქის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებს შორის სიტყვიერი შეთანხმებით დაზარალებული კორპუსების მოსახლეობის მომართვის საფუძველზე ყველა პრობლემაზე მოხდება შესაბამისი რეაგირება, რაზედაც ინფორმირებულია თემების ლიდერები.
- იმერეთის რეგიონში მიმდინარეობს დევნილთა კომპაქტური ჩასახლებების ნაწილობრივი რეაბილიტაცია. ექსპლუატაციაში ჩაბარებულია 15 შენობა.(იხ. დანართი 6) აღნიშნულ ობიექტებში შეცვლილია კარ-ფანჯრები, გადახურულია სახურავი, გარე საკანალიზაციო მილები გამოცვლილია, მიბათქაშებულია და შეღებილია გარე ფასადი, გარემონტებულია სადარბაზოები, მოწყობილია ბავშვების სათამაშო მოედანი და სტადიონი.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 4 ობიექტს-სან. „ინტურისტი“, სან. „სამგურალი“, სან. „მეტალურგი“ და სან. „წყალტუბო“ ჩაუტარდება სახურავების შეკეთება და სასმელი წყლისა და საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაცია; ხოლო საავადმყოფოს შენობაში შეყვანილი იქნება ბუნებრივი აირი. ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით აღნიშნული სამუშაოების დაწყება ნავარაუდევია 2015 წლის იანვრიდან.
- წარმომადგენლობის ადგილობრივი მუნიციპალურ სამსახურებთან და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობასთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად:
 - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რთული ქირურგიული ოპერაციებისთვის დახმარება გაუწია 142 დევნილს, ჯამში სამედიცინო დახმარების თანხამ შედგინა 159 498 ლარი.
 - ცაგერის რაიონში მცხოვრებ დევნილს ბესიკ ჩაკვეტაძეს, გაუკეთდა გულის ოპერაცია. ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ ჩარიცხული იქნა 1000 ლარი. ასევე ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 5 სხვადასხვა ოჯახს (თითოეულ ოჯახს) 150 ლარის ოდენობით. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში გადაგზავნილია 12 ოჯახის სია სახნავ - სათესი ვაუჩერის მისაღებად.
 - ოზურგეთის გამგეობამ გასცა დევნილ ბავშვებზე 30 მოსაწვევი სახალწლო ღონისძიებისთვის. სათბობი შეშის შესაძენად 25 მარტის მდგომარეობით 26 ოჯახზე გაცემულია 5200 ლარი. თითოეულზე 200 ლარის ოდენობით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სექტემბრის მდგომარეობით შეშის შესაძენად 18 ოჯახზე გაცემულია 3600 ლარი (თითოეულზე 200 ლარი). აპრილიდან 23 ივნისის მდგომარეობით ოზურგეთში დევნილებს გაეწიათ შემდეგი დახმარებები სამკურნალოდ 400 ლარი, წამლის შესაძენად 82 ლარი, ზამთრის შეშის შესაძენად 1600 ლარი, თითოეულ ოჯახს (200 ლარი). II კვარტალში გაცემულია 2082 ლარი. სულ 9 თვის განმავლობაში გაცემულია 7482 ლარი. ჩონხატაურში დევნილ ოჯახებზე ზამთრის შეშაზე თანხის გაცემა დაიწყება ოქტომბერ - დეკემბერში. მესამე კვარტლის ბოლოს მთ. სპეციალისტი გივი აბლოთია შეხვდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მერაბ ჭანუყვამეს, ოზურგეთის მერს ბეგლარ სიორიძეს და სოციალური სამსახურის უფროსს თამარ დუმბაძეს დევნილთა დახმარების პროგრამების მიმდინარეობასა და პერსპექტივებზე. განხილულ იქნა პროგრამის გაფართოების შესაძლებლობები, რაც გარკვეულწილად დამოკიდებული იქნება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე. ითქვა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პარალელურად. ანალოგიური საკითხის დასმა მოხდება ლანჩხუთისა და ჩონხატაურის მუნიციპალიტეტების გამგეობებთან.

- ზესტაფონში საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი"-ს მიერ პროექტის "ამხანაგობების შექმნა და განვითარება" ფარგლებში (რომელსაც ცენტრი "აფხაზეთი" 2012 წლიდან ახორციელებს) 25 სექტემბერს ორმა ამხანაგობამ - „სოხუმი“ და „შუქურა“ (რომელთა ჩამოყალიბების ხელშეწყობაში წარმომადგენლობასაც გარკვეული წვლილი მიუძღვის) - საჩუქრად სამშენებლო ინსტრუმენტები მიიღო. ღონისძიებას NEO / USAID - ს, საქართველოს მთავრობისა და ცენტრი „აფხაზეთის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საჩუქრად მიღებული სამშენებლო იარაღებით ამხანაგობებს შეუძლიათ პერიოდულად შეამოწმონ და შეაკეთონ თავიანთი საცხოვრებელი. ასევე, მათ უფლება აქვთ სამშენებლო ინსტრუმენტები მიაქირაონ მოვლა-ექსპლოატაციის ჯგუფს და მიიღონ გარკვეული შემოსავალი ამხანაგობის ფონდში.
- რაც შეეხება წარმომადგენლობის შესაბამისი კომისიის მიერ სოციალურად დაუცველთა კატეგორიებზე გაცემულ ერთჯერადი მატერიალური დახმარების განაწილებას - მონაცემები განხილულია ანგარიშის პირველ თავში, ხოლო მონაცემები მოცემულია დანართებში #3ა,3ბ,3გ და 3დ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხონის სამხედრო დასახლებაში დამატებითი დახმარება გაეწია 20 დევნილ მოქალაქეს აფხაზეთის ა.რ. სარეზერვო ფონდიდან, და გამოიყო თანხა 500 ლარის ოდენობით 103 კორპუსის საწვინურების შესაკეთებლად;
- განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და მთავრობის წევრთა რეგიონში ვიზიტებისას დაჩქარდა მთელი რიგი პრობლემების მოგვარება. კერძოდ:
 - ხონისა და კოპიტნარის სამხედრო დასახლებებში დასრულდა დევნილი ოჯახებისათვის გადაცემული, რეაბილიტირებული საცხოვრებელი ბინების დაკანონების წინასწარი სამუშაოები.
 - კოპიტნარის სამხედრო დასახლებაში კვლავ გადაწყვეტის სტადიაშია იქ არსებული ავტონომიური საკანალიზაციო სისტემის ექსპლუატაციისათვის საჭირო რესურსების გამოყოფის საკითხი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან იყო სიტყვიერი დაპირება, რომ მისივე ბიუჯეტიდან მოხდებოდა აღნიშნული ხარჯების დაფინანსება.
 - ხონის სამხედრო დასახლებაში დასრულდა საცხოვრებელი კორპუსების გაზიფიცირება. მიმდინარეობს ქსელის ექსპლუატაციაში ჩართვის სამუშაოები. კერძოდ მომხმარებლების აბონენტებად დარეგისტრირება. სამწუხაროდ ყველა აბონენტი ვერ ისარგებლებს ბუნებრივ აირით, რადგან მათ არ გააჩნიათ შესაბამისი საყოფაცხოვრებო მოწყობილობები (გაზქურები, წყლისა და ჰაერის გამათბობლები).

- წყალტუბოში სან. „საქართველო“ გადაყვანილია 24 საათიან წყალმომარაგების რეჟიმზე, რისთვისაც გაყვანილი იქნა 60 მეტრის ახალი მილსადენი;
 - მოგვარდა ამავე სანატორიუმის მიმდებარე ტერიტორიის დატბორვის პრობლემაც;
 - დაიდგა დამატებითი კონტეინერი საოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის;
 - სანატორიუმ „მეგობრობაში“ მთლიანად შეიცვალა ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემასთან დამაერთებელი, კორპუსიდან გამომავალი ხაზი. ასევე შეკეთდა სასმელი წყლის მიწოდების გარე სისტემა, შეიცვალა ელექტრო კაბელი 800 მეტრი;
 - სანატორიუმ „აია“-ში, სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით, შეიცვალა 50 მეტრი სიგრძის სამელი წყლის მილსადენი;
 - ფეკალური მასები ამოიტუმბა სანატორიუმებში „გეოლოგი“-32 ტონა, „მეტალურგში“-20 ტონა, „გელათში“-8 ტონა,
 - ყოფილი საავადმყოფოს შენობაში, დაიდგა კონტეინერი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის;
 - აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ სათამაშოები გადასცა კოპიტნარის სამხედრო დასახლებაში არსებულ საბავშვო ბაღს, ასევე კონსულტაციები და საინტერესო ინფორმაციები მიეცათ ხონისა და კოპიტნარის სამხედრო დასახლებებში არსებულ სკოლების პედაგოგებსა და მოსწავლეებს, მოსწავლეებს ასევე საჩუქრად გადაეცათ სასკოლო ნივთები.
- მნიშვნელოვანი და სოციალურად ეფექტური იყო ხონის, კოპიტნარის დასახლებებსა და წყალტუბოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული, გასვლითი სამედიცინო აქცია, რომელიც ითვალისწინებდა აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები დევნილი მოსახლეობის უფასო სამედიცინო გასინჯვებსა და მედიკამენტებით უზრუნველყოფას. აქციაზე განხორციელდა 2300-ზე მეტი ვიზიტი ექიმებთან, 50 მეტ მწოლიარე ავადმყოფს ჩაუტარდა გამოკვლევა ბინაზე გასვლით, გაიცა 7000 ლარზე მეტი ღირებულების მედიკამენტები და 25 შემწოვი ქვეშაგი ჰუმანიტარული პაკეტიდან. ანალოგიური აქცია განხორციელდა ქ. ბათუმსა და ქობულეთშიც. აქ სამედიცინო შემოწმება გაიარა 700-მდე დევნილმა და მათ უფასოდ გადაეცათ 17000 ლარის ღირებულების 150 დასახელების მედიკამენტი.
 - აფხაზეთის დაცემის ტრაგიკული დღეების აღსაღნიშნავად გამართული ღონისძიებების ფარგლებში წარმომადგენლობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელი პირების, დევნილი და ადგილობრივი საზოგადოებების წარმომადგენლების მონაწილეობით

განხორციელდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალების პატივგების ცერემონიალები ქალაქებში: ქუთაისი, წყალტუბო, ბათუმი, ქობულეთი და ხონი. აფხაზეთის მთავრობის ინიციატივითა და საქართველოს საპატრიარქოს მხარდაჭერით ქ. ქუთაისში ხარების ეკლესიაში ჩამოაბრძანეს „ყოველთა მწუხარეთა ნუგეშის“ ხატი, რომელიც აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით შეიქმნა გასულ წელს.

- წარმომადგენლობის შუამდგომლობით ქ. ქუთაისის მერიამ დადებითად გადაწყვიტა სოხუმის #5 საჯარო სკოლის დაზიანებული გათბობის სისტემის რეაბილიტირების საკითხი. კერძოდ სკოლის ანგარიშზე გადაირიცხა შსაბამისი თანხა საჭირო მასალების შესაძენად, ხოლო აღდგენითი სამუშაოები შესრულდა თვით სკოლის ძალებით.

მიუხედავად აღნიშნულისა სამოქმედო რეგიონში განთავსებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური და ყოფითი ხასიათის პრობლემები კვლავ მოითხოვს არსებული ორგანიზაციული რესურსების კონცენტრირებას და პრობლემის მოგვარებაში ჩართული სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის უფრო კოორდინირებულ მუშაობას.

თავი III. წინადადებები

მიგვაჩნია, რომ დევნილი მოსახლეობის წინაშე არსებული სოციალურ - ეკონომიკური ხასიათის პრობლემების მოგვარების გზაზე უმთავრესია ქმედითი მექანიზმების ამოქმედება მათი თვითკმარობის დონის ამაღლების ხელშეწყობისათვის. ამჟამად დევნილთა საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის ამაღლების სახელმწიფო ინსტრუმენტები არ არსებობს ან არასაკმარისია და ის მთლიანად არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამებით ხორციელდება, რაც უმნიშვნელო სოციალური ეფექტის მატარებელია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინიციატივით მიმდინარე პროცესი, რომელიც ითვალისწინებს „დევნილთა საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის“ ერთიანი ხედვების ჩამოყალიბებას. მასთან მიგვაჩნია, რომ მხოლოდ პროცესში ჩართული ყველა მოთამაშის კონსოლიდაციით შესაძლებელი იქნება დევნილთა მატერიალური მდგრადობისა და სახელმწიფო დახმარებისაგან დამოუკიდებლობის მიღწევა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დევნილი მოსახლეობის ნაწილმა დევნილობის მთელი პერიოდის განმავლობაში დამოუკიდებლად

მოახერხა შემოსავლების წყაროების შექმნა, ზოგიერთმა სერიოზულ წარმატებებსაც მიაღწია, თუმცა უმრავლესობა კვლავ სახელმწიფო შემწეობისა და სხვა სოციალური პროექტების ბენეფიციარია. აღნიშნულის გამომწვევი მიზეზები მოყვანილია 2.2 პუნქტში, თუმცა უნდა ითქვას, ისიც, რომ დევნილთა ამ ნაწილს არ გააჩნია სათანადო უნარჩვევები, რაც მათ კონკურენტუნაროს ხდის შესაბამის ბაზარზე. მიგვაჩნია, რომ შექმნილი გარემოების გათვალისწინებით საჭიროა საწყის ეტაპზე სახელმწიფომ ერთის მხრივ შეიმუშავოს სპეციალური ღონისძიებები წარმატებული დევნილების მხარდაჭერისათვის, რათა ამ უკანასკნელებმა შეძლონ მათ მიერ შექმნილი საწარმოების (ბიზნესები) გააფართოვება, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და მეორეს მხრივ შექმნას დასაქმების მსურველი დევნილებისათვის გადამზადების ეფექტური მექანიზმები.

რაც შეეხება წინამდებარე ანგარიშში მოყვანილ რეგიონალურ პრობლემებს, გრძელვადიან პერსპექტივაში მათი ნაწილი უნდა გახდეს დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის კრილში განხილვის საგნად, მაგრამ უახლოეს პერიოდში აუცილებლად მიგვაჩნია:

შეიქმნას სახელმწიფო კომისია (სამუშაო ჯდუფი, ან საკოორდინაციო სახელმწიფო საბჭო) საქართველოს ფინანსთა, რეგიონალური განვითარების, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - ლტოლვილთა და განსახლების, იუსტიციის, ეკონომიკის სამინისტროების, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, შესაბამისი მუნიციპალიტეტების გამგეობების, დევნილი მოსახლეობისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც ადგილზე შეისწავლის არსებულ პრობლემებს და დასახავს მათი აღმოფხვრის გზებს.

პრიორიტეტულად მიგვაჩნია იგპ-თა იმ კომპაქტური ჩასახლებების იურიდიულ-სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც იმოფება სახელმწიფო ან კერძო საკუთრებაში და ავარიულ მდგომარეობაშია. მათ უნდა მიენიჭოს დროებითი სტატუსი, რომელიც შესაძლებელს გახდის კანონის დაურღვევლად შესრულდეს მიმდინარე და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები ამორტიზირებული შიდა კომუნიკაციების შესაკეთებლად.

დანარ
თი 1

სამო
ქმედ
ო
რეგი
ონში
განთ
ავსე
ბულ
დევნ
ილთ
ა
სტა
ტის
ტიკ
ური
მონა
ცემე
ბი
მუნი
ციპა
ლიტ
ეტებ
ისა
და
რეგი
ონებ
ის

#	მუნიციპალიტეტი	კერძო		კომპაქტური		სულ ჯამი	
		სული	ოჯახი	სული	ოჯახი	სული	ოჯახი
იმერეთი							
1	ბაღდათი	242	92	139	52	381	144
2	ვანი	168	65	197	71	365	136
3	ზესტაფონი	394	138	455	134	849	272
4	თერჯოლა	223	80	229	74	452	154
5	სამტრედია	1301	394	826	264	2127	658
6	საჩხერე	264	101	71	22	335	123
7	ტყიბული	154	55	215	95	369	150
8	ქუთაისი	5750	1852	5879	1798	11629	3650
9	წყალტუბო	903	301	4974	1869	5877	2170
10	ჭიათურა	139	45	219	78	358	123
11	ხარაგაული	94	36	0	0	94	36
12	ხონი	188	63	1289	437	1477	500
სულ იმერეთში		9820	3222	14493	4894	24313	8116
აჭარის ა/რ							
1	ბათუმი	1480	614	2400	711	3880	1325
2	ქედა	2	1	0	0	2	1
3	ქობულეთი	1209	403	417	174	1626	577
4	ხელვაჩაური	797	303	0	0	797	303
სულ აჭარაში		3488	1321	2817	885	6305	2206
გურია							
1	ლანჩხუთი	163	51	0	0	163	51
2	ოზურგეთი	214	75	0	0	214	75
3	ჩოხატაური	104	37	0	0	104	37
სულ გურიაში		481	163	0	0	481	163
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი							
1	ამბროლაური	187	82	3	1	190	83
2	ლენტეხი	103	40	26	7	129	47
3	ონი	121	54	0	0	121	54
4	ცაგერი	248	96	159	60	407	156
სულ რ-ლ-ქვ.სვ-ში		659	272	188	68	847	340
სულ სამოქმედო რეგიონში		14448	4978	17498	5847	31946	10825

მიხედვით


დევნილ მოსახლეობასთან შეხვედრებზე გასვლის განრიგი

№	მუნიციპალიტეტი	იგბ - თა რაოდენობა (2013 წლის მონაც-ით)						გასვლის სავარაუდო თარიღი
		კერძო სექტორი		ორგანიზებული სექტორი		სულ ჯამი		
		სული	ოჯახი	სული	ოჯახი	სული	ოჯახი	
ი მ ე რ ე თ ი								
1	ქუთაისი	6185	2031	7320	2114	13505	4145	22.01-21.02
2	წყალტუბო	712	261	4217	1680	4929	1941	22.01-21.02
3	ბაღდათი	263	95	146	49	409	144	30.01
4	ვანი	182	69	213	65	395	134	
5	ზესტაფონი	436	154	472	140	908	294	27.01
6	თერჯოლა	252	81	219	65	471	146	
7	სამტრედია	1391	402	782	261	2173	663	22.01
8	ჭიათურა	157	47	223	78	380	125	15.02
9	საჩხერე	289	106	68	18	357	124	
10	ტყიბული	208	73	186	63	394	136	29.01
11	ხარაგაული	108	37	0	0	108	37	19.02
12	ხონი	217	84	1337	414	1554	498	24.01
	სულ	10400	3440	15183	4947	25583	8387	
ა ჭ ა რ ა								
1	ბათუმი	1492	641	2432	695	3924	1336	27.01
2	ქობულეთი	1324	453	434	187	1758	640	
3	ხელვაჩაური	862	334	42	23	904	357	
	სულ	3678	1428	2908	905	6586	2333	
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი								
1	ამბროლაური	187	86	13	4	200	90	12.02
2	ონი	126	60	0	0	126	60	
3	ლენტეხი	134	50	33	8	167	58	5.02
4	ცაგერი	268	103	175	55	443	158	
	სულ	715	299	221	67	936	366	
გურია								
1	ლანჩხუთი	185	55	0	0	185	55	31.01
2	ოზურგეთი	222	77	9	2	231	79	
3	ჩოხატაური	118	43	0	0	118	43	
	სულ	525	175	9	2	534	177	


ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემის ფინანსური მაჩვენებლები

#	კატეგორია	ბენეფიციართა რაოდენობა	გაცემული თანხა (ლარი)
1	II მსოფლიო ომის ინვალიდები	1	100
2	I ჯგუფის ინვალიდები	212	21200
3	მარჩენალდაკარგული ოჯახები	58	5800
4	ომში დაღუპულთა ოჯახები	170	17000
5	დედ-მამით ობოლი არასრულწლოვანშვილიანი ბავშვები	2	200
6	ოთხი და მეტი არასრულწლოვანშვილიანი ოჯახები	58	5800
7	100 წელს გადაცილებულები	1	100
8	ბავშვობიდან ინვალიდები და უნარშეზღუდული ბავშვები	117	11700
9	სხვა	75	7500
სულ:		694	69400


ერჯერადი მატერიალური დახმარების განაწილების მაჩვენებლები
 ბენეფიციართა კატეგორიების მიხედვით



ერთჯერადი მატერიალური დახმარების განაწილების მაჩვენებლები ბენეფიციართა დროებითი მისამართების მიხედვით



ერთჯერადი მატერიალური დახმარების განაწილების მაჩვენებლები ბენეფიციართა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა
განსახლებისა და
ლტოლვილთა სამინისტროდან 2014 წლის 1 იანვრიდან შემოსულ წერილებზე
მუშაობის
ანალიზი (15.12.2014-ის მდგ-ით)

რთი №	ინფორმაციის მიწოდების თარიღი	შემოსული წერილი/ბენეფი. რაოდენობა	პასუხ გაცემული წერილი/ბენეფი.				
			სულ		დადებითი		უარყოფითი
			რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.
1.	2	3	4	5	6	7	8
1.	20.02.2014	1/17	1/17	100	1/12	70,6	1/5
2.	27.05.2014	12/23	4/4	33,3	4/4	100	0
3.	28.05.2014	18 / 29	4/4	22,2	4/4	100	0
4.	17-06-2014	24 / 36	4/4	16,7	4/4	100	0
5.	24-06-2014	24/36	7/7	29.2	7/7	100	0
6.	30-06-2014	26/36	10/10	38,5	10/10	100	0
7.	07-07-2014	28/48	13/25	46,5	13/25	100	0
8.	04-08-2014	37/65	14/27	38,0	14/27	100	0
9.	19-08-2014	39/68	19/32	49.0	19/32	100	0
10.	25-08-2014	39/68	19/32	49.0	19/32	100	0
11.	15-09-2014	71/133	33/68	51,1	33/68	100	0
12.	22-09-2014	71/133	45/89	67,0	44/86	96,6	1/3
13.	07.10.2014	72/136	45/89	67,0	44/86	96,6	1/3
14.	03.11.2014	75/144	48/99	68.8	47/96	97.0	1/3
15.	10.11.2014	78/151	51/105	69.5	50/102	97.1	1/3
16.	17.11.2014	78/151	55/111	73.5	54/108	97.3	1/3
17.	24.11.2014	78/151	57/113	74.8	56/110	98.2	1/3
18.	15.12.2014	81/156	58/116	74.4	57/113	97.4	1/3

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში კომპაქტური ჩასახლების ობიექტების ნუსხა

რეგიონი	ობიექტი	დევილთა რაოდენობა/ ოჯახი		შესწავლილი ობიექტები	პასპორტი
ქუთაისი	70	1798	5879	70	73
წყალტუბო	23	1541	3839	23	39
ვანი	3	71	197	3	3
ხონი	1	437	1289	1	17
ბაღდათი	11	52	139	11	11
სამტრედია	6	264	826	6	8
ზესტაფონი	9	228	779	9	9
კოპიტნარი	1	328	1135	1	13
ცაგერი	10	60	159	10	10
ლენტეხი	1	7	26	1	1
ბათუმი	7	711	2400	7	29
ქობულეთი	4	174	417	4	8
ტყიბული	8	95	215	8	8
საჩხერე	1	22	71	1	1
ჭიათურა	5	78	219	5	5
თერჯოლა	6	74	229	6	6
სულ	166	5940	17819	166	241

ობიექტების ნუსხა, რომლებსაც ჩაუტარდათ ნაწილობრივი რეაბილიტაცია

იმერეთის რეგიონი

#	ობიექტის დასახელება	მისამართი	ბინების რაოდენობა
1	საბავშვო ბაღი #1 3 კორპუსი	ქუთაისი, ავტომშენებლის #3	8
2	საბავშვო ბაღი	ქუთაისი, სოხუმის ქ 13	8
3	საბავშვო ბაღი	ქუთაისი, სოხუმის ქ 14	8
4	საბავშვო ბაღი	ქუთაისი, სოხუმის ქ 15	8
5	ადმინისტრაციული კორპუსი	ქუთაისი, გუგუნავას ქ 22	15
6	საბავშვო ბაღი #8	ქუთაისი, ბუკიას ქ 14	16
7	ტყავფეხსაცმელების კომბ. საბ. ბაღი	ქუთაისი, ასათიანის ქ 143	24
8	აეროპორტის ადმინისტრაციული შენობა	ქუთაისი, ავტომშენებლის ქ 41	18
9	პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტი	ქუთაისი, ბუხაიძის ქ 14	24
10	საბავშვო ბაღი 22	ქუთაისი, ნიკეას I შეს. #13	40
11	ბაგა-ბაღი „აისი“	ქუთაისი, ნიკეას მე2 შეს #8	40
12	ბაგა-ბაღი #24	ნიკეას #1	40
13	ბაგა-ბაღი #23	ქუთაისი, სულხან საბას ქ 47	40
14	ბაგა-ბაღი ცუგრუმელა	ქუთაისი, ზ.ჭავჭავაძის ქ 47	40
15	პროფ სასწავლებელი (ე.წ. დამხმარე შენობა)	ვანი, სოლომონ მე-2 ქ	4
16	ვარციხე ჰესის ბაღი	წყალტუბო, სოფელი ვარციხე	8
17	საბავშვო ბაღი	წყალტუბო, სოფელი ქვიტირი	8
18	ჩვილბავშვთა სახლი	ქუთაისი შერვაშიძის #3	40

